ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3765119

ნომერი: AR1562504

თარიღი : 05.12.2017

გაცემის თარიღი : 04.01.2018

გაცნობის თარიღი : 04.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ)/ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვ.N039/032-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ავალიანი პ/ნ 01008058271
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 33ა, ბინა 59

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ემა ომანაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

-წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით სამსახურს სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, საპროექტო ობიექტის (ავტოსამრეცხაოს) განთავსებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდგი:

-სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტების დაპროექტება-მშენებლობა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მომსახურება არ ხორციელდებოდეს ან/და მომსახურების პროცესი არ აღიქმებოდეს გზიდან/ქუჩიდან.

-ასევე წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტები.

- ასევე წარმოდგენილ იქნას საპროექტო გენ-გეგმა, ფუნქციური ზონების დატანით, მანძილების მითითებით, ასევე საჭიროა გათვალისიწინებულ იქნას ხე-ნარგავები, პროექტის შეთანხმების (II სტადია) და მშენებლობის ნებართვის გაცემის (III -სტადია)-ზე, როდესაც საჭიროა დატანილ იქნეს საპროექტო შენობიდან ხე-ნარგავებამდე მანძილები და გასათვალისიწინებელი იქნება: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს. იმ შემთხვევაში თუ მოხდება არსებული ხე/ნარგავების მოჭრა/გადატანა საჭირო იქნება წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ხე-მცენარეების მდგომარეობის, სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10სმ სიმაღლეზე, რომელთა დასკვნის საფუძველზე წარმოსადგენი იქნება მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად წარმოდგენილ იქნას დაკორექტირებული ფოტომონტაჟი.

-.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას დღეის მდგომაროებით გადაღებული, რეალური სიტუქციის ამსახველი ფოტოსურათები თარიღის ფიქსაციით.

-გაითვალისწინეთ: დაცულ იქნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები

-ასევე გაცნობებთ რომ: დაუშვებელია შენობა-ნაგებობების სახურავებზე შემდეგი გადახურვის მასალების გამოყენება:

ა) ნებისმიერი ფორმის მოთუთიებული თუნუქი (დაცვითი საფარისა და შეღებვის გარეშე);

ბ) ნებისმიერი ფორმის შიფერი;

გ) ფიქალი (გარდა საკულტო ნაგებობებისა)

-.განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: 22.11.2017წ. №3686023 ბრძანებით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საპროექტო ობიექტია: ავტოსამრეცხაო (ავტოსამრეცხაო და ავტოტექმომსახურება), ვიანიდან აღნიშნული არ ითვლისწინებს კაფეტერიას და ოფისს ამოღებულ იქნას განმარტებითი ბარათიდან და დოკუმენტაციიდან აღნიშნული ობიექტები, ან შეტანილ იქნას ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ზემოაღნიშნულის დაფიქსირების კუთხით. გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.